

საჯარო სექტორში არსებული სტრატეგიის გავლენა ორგანიზაციულ კულტურაზე

სოფიკო ხვთისიაშვილი
ავთანდილ ტყემელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ბერუაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო ხვთისიაშვილი

ავთანდილ ტყეშელაშვილი

თარიღი: 10.07.2020

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს საჯარო სექტორში არსებული ორგანიზაციების სტრატეგიისა და ორგანიზაციული კულტურის შესახებ კვლევას. თანამედროვე მსოფლიოში ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობა და მასზე აქცენტირება უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. ჩვეულებრივ, ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება ორგანიზაციის სტრატეგიასა და შესაბამის გეგმაზეა დამოკიდებული. დღეს საქართველოში ამ კუთხით არსებული რეალობის შესახებ კვლევები საკმაოდ მცირეა.

ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო სექტორში რეალურად არსებული სიტუაციის კვლევა. პირველ რიგში, არსებობს თუ არა ორგანიზაციებში მკაფიოდ გაწერილი სტრატეგიები შესაბამისი გეგმებით, რა ტიპის ორგანიზაციულ კულტურას იყენებენ ისინი და ახდენს თუ არა სტრატეგია გავლენას ორგანიზაციულ კულტურაზე. ნაშრომის დასაწყისში მოცემულია აღნიშნული საკითხის აქტუალობის შესახებ, საკვლევი მიზნები და ამოცანები. პირველი თავი მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას, სადაც გამოყენებულია როგორც თანამედროვე უცხოური, ისე ქართული ნაშრომები და კვლევები იმ ძირითადი ფაქტორების შესახებ რომლებიც გავლენას ახდენენ საკვლევ საკითხებზე, ასევე განხილულია უცხო ქვეყნების გამოცდილებები. მეორე თავი დათმობილი აქვს კვლევის დიზაინის მიმოხილვას, საკვლევ კითხვებს, კვლევის მეთოდოლოგიას და გამოვლენილ სირთულეებს კვლევისას. მესამე თავში მოცემულია ჩატარებული კვლევის შედეგების განხილვა, შეფასება, ანალიზი და რეკომენდაციები. ნაშრომის ბოლოს დანართების სახით მოცემულია კვლევის შედეგების გრაფიკული გამოსახულებები და საკვლევ კითხვარი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ორგანიზაციის სტრატეგია, სტრატეგიული გეგმა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ორგანიზაციული კულტურა.

Abstract

This work is a research about an organization strategy and an organizational culture inside Georgian public sector. Present day a consequence of the organizational culture and focus on it is growing both, in the private and public sectors, in the whole world. As usual, formation of the organizational culture is depends on the organization strategy and thus plan. Researches about a current reality in Georgia are so little.

The underlying goal of our work is to survey actually present situation in organizations of the public sector. First of all, they are or not spelled out organizational strategies clearly with appropriate plans, which type of the organizational culture is used by them and what an impact the strategy has on the organizational culture. An information about a relevance of an issue, research objectives and tasks are given at the beginning of the work. The first chapter includes a review of the literature, where both Georgian and foreign modern works and researches are used about fundamental factors, which impacts on research issues. Also, here is discussed experiences of foreign countries. The second chapter is devoted to research of a design review, survey questions, methods and difficulties identified during research. The third chapter is given discuss the results of the study, assessment, analysis and recommendations. The end of the work is given graphic images of the research results and survey questionnaire in the form of attachments.

Basic key words: organization strategy, strategic plan, strategic management, organizational culture.